



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის დეკემბერში საქართველოს რეალური მშპ წლიური ზრდა 11.0%-მდე დაჩქარდა, წინა თვის 9.3%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2022 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 10.1%-ით გაიზარდა (ჩვენი პროგნოზი 10.2% იყო). დეკემბერში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, ვაჭრობის და მასპინძლობის დარგებში, ხოლო შემცირდა უძრავი ქონების ოპერაციების, პროფესიული საქმიანობის და ელექტროენერჯის მიწოდების სექტორებში. ჩვენი პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 4.8%-ით გაიზარდება 2023 წელს, ხოლო 5.0%-ით 2024 წელს (იხილეთ მეტი [დოკუმენტში](#)).

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 9.4%-მდე შენედა, წინა თვის 9.8%-იანი დონიდან. ამასთან, საბაზო ინფლაცია, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, 7.7%-მდე გაიზარდა (+1.0პპ თ/თ). 2023 წლის იანვარში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+15.0%, 5.03პპ), საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (+13.1%, 1.38პპ), ტრანსპორტი (+5.2%, 0.63პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+8.7%, 0.58პპ), რესტორნები (+14.7%, 0.58პპ), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (+10.1%, 0.52პპ) და ჯანდაცვა (-3.2%, -0.33პპ). ამასთან, 2023 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ადგილი ჰქონდა 0.8%-იანი ინფლაციის, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ზრდამ სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+1.4% თ/თ, 0.46პპ) კატეგორიაში. ჩვენი პროგნოზით, საშუალო წლიური ინფლაცია 5.2%-ის დონეზეა მოსალოდნელი 2023 წელს, ხოლო 3.8%-ს მიაღწევს 2024 წელს.


მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 1 თებერვალს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0%-ზე დატოვა. სებ-ის განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზით, წლიური ინფლაცია შემცირებას გააგრძელებს და მიზნობრივ დონეს 2023 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება, რასაც საგარეო ფაქტორებიდან მომდინარე წნეხის ეტაპობრივი განეიტრალება და მყარი ლარის კურსი განაპირობებს გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკასთან და ფისკალურ კონსოლიდაციასთან ერთად. თუმცა მომდინარე გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გაურკვეველობა კვლავ მაღალია და არსებული რისკები ინფლაციაზე, ძირითადად, ზრდის მიმართულებით მოქმედებს. ამასთან, სებ-ი საყურადღებოდ მიიჩნევს ინფლაციაზე ზეწოლის კუთხით, ბოლო პერიოდში, ადგილობრივ შრომის ბაზარზე ხელფასების პროდუქტიულობაზე უფრო მეტად ზრდის პროცესს. აქედან გამომდინარე, სებ-ი მიზანშეწონილად თვლის წლის განმავლობაში მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შეინარჩუნებას და შერბილებაზე გადასვლას მას შემდეგ, რაც ფაქტიური ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2023 წლის 29 მარტს ჩატარდება.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022E
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,937	19,456
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,656
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	3.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.6%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

წლიური ინფლაცია საქართველოში



წყარო: საქსტატი



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 31 იანვარს 5-წლიანი 90.0 მლნ ლარის (34.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.14733-ით შემცირდა და 8.679% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 7 თებერვალს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

მადიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	20	220	120
1-წელი	20	220	295
2-წელი	43	440	1,197
5-წელი	99	990	3,598
10-წელი	60	660	1,596
სულ	242	2,530	6,806


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 97.22 (+0.46% წინა კვირასთან შედარებით), 8.85%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 88.94 ფასად (+0.55% წინა კვირასთან შედარებით), 6.47%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 92.41 (+0.27% წინა კვირასთან შედარებით), 5.35%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	92.41	5.35	158.03
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB/-	88.94	6.47	303.62
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	n/a	n/a	38.23
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	99.75	12.27	662.93
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	97.22	8.85	402.19
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	98.33	8.88	522.89
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.59	6.84	215.90
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	93.54	13.30	1,079.40

ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.90	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.49	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	97.35	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.77	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.73	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.37%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	n/a	n/a	-/-/-

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 27.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.42% წინა კვირასთან შედარებით და +5.16% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 259 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.00 - 27.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 46 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 24.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +5.30% წინა კვირასთან შედარებით და +9.23% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 187 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 23.40 - 24.95 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 38 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.57 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.26% წინა კვირასთან შედარებით და +4.27% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 152 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.35 - 7.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	27.50	1,352	69.3%	89.4%	5.6%	4.58x	3.40x	4.44x	1.06x	1.06x	0.88x
TBC	TBC	GBP	24.85	1,371	69.7%	67.5%	9.5%	4.75x	4.62x	4.37x	1.04x	1.00x	0.86x
Halyk Bank	HSBK	USD	11.50	3,136	22.3%	-16.3%	3.6%	2.60x	3.04x	3.07x	0.76x	0.77x	0.65x
Akbank	AKBNK	TRY	16.51	85,852	85.7%	112.5%	-15.5%	6.04x	1.49x	2.16x	0.96x	0.67x	0.45x
Garanti	GARAN	TRY	23.58	99,036	58.9%	97.5%	-21.5%	7.12x	1.83x	2.29x	1.20x	0.74x	0.57x
Isbank	ISCTR	TRY	10.57	47,565	86.7%	181.6%	-17.2%	2.87x	0.89x	1.08x	0.99x	0.51x	0.45x
PKO	PKO	PLN	32.72	40,900	33.0%	-33.4%	8.0%	6.63x	11.64x	6.32x	0.86x	1.18x	1.01x
PEKAO	PEO	PLN	93.40	24,515	27.1%	-32.1%	8.0%	9.22x	8.16x	5.86x	0.84x	1.08x	0.92x
Millennium	MIL	PLN	5.08	6,162	36.7%	-42.4%	10.9%	na	2.61x	2.93x	0.81x	1.30x	1.03x
Mbank	MBK	PLN	320.00	13,563	48.0%	-35.3%	8.1%	na	na	6.46x	0.83x	1.09x	0.91x
BRD	BRD	RON	13.98	9,743	5.4%	-32.5%	7.5%	6.06x	7.66x	6.68x	0.81x	1.54x	1.17x
Banca Transilvania	TLV	RON	19.98	126,103	-2.3%	-16.7%	0.3%	na	na	na	1.24x	1.39x	1.20x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	8.75x	8.37x	0.65x	0.66x	0.56x
Komercni	KOMB	CZK	743.50	141,302	21.5%	-25.0%	13.5%	11.10x	8.64x	9.09x	1.14x	1.15x	1.06x
საშუალო								6.34x	5.23x	4.86x	0.94x	1.01x	0.84x
მედიანა								6.06x	4.01x	4.44x	0.91x	1.07x	0.90x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.57	353	16.8%	11.2%	3.7%	1.80x	4.12x	3.07x	0.41x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.56	457	-4.3%	-6.3%	0.5%	13.85x	na	na	0.94x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	40.36	82,351	89.1%	169.2%	-10.5%	5.61x	2.21x	3.37x	1.31x	0.87x	0.65x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	29.60	557	4.2%	-18.9%	6.1%	2.57x	na	7.32x	0.68x	1.13x	0.88x
Eurazeo	RF	EUR	65.35	5,177	-1.4%	-7.2%	12.5%	2.91x	14.97x	10.21x	0.72x	0.74x	0.69x
Carlyle Group	CG	USD	37.81	13,471	-2.5%	-23.9%	26.7%	3.34x	8.76x	9.28x	1.87x	3.25x	2.59x
Wendel SE	MF	EUR	99.45	4,450	12.1%	4.7%	14.0%	3.45x	8.39x	8.09x	1.35x	1.59x	1.36x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.77	1,716	3.6%	-12.3%	7.6%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.70	685	3.3%	-14.0%	-1.9%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.57	816	11.5%	1.7%	8.9%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	9.40	650	-14.0%	-30.1%	11.4%	3.10x	na	na	0.52x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.44	225	-6.4%	2.1%	-2.0%	1.78x	na	na	0.45x	na	na
საშუალო								4.27x	7.69x	6.89x	0.92x	1.52x	1.23x
მედიანა								3.10x	8.39x	7.71x	0.72x	1.13x	0.88x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gf.ge